გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადების დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (3—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებია უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

## საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალერიან გუნიას მიერ.

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.

მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—7)

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ. (10—9)


## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

26 სექტემბერს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს პარასკოვია ზინჩენკოვისა (ნაბერეჟნის ქუჩა სახ. აფიევისა). 27 სექტემბერს მიიყვანეს იქვე იოსებ მედაშვილი (ვორონცოვის ქუჩა, სახერხი ქარხანა). გარდ. 25 სექტემბერს მიხეილის საავადმყოფოში პარასკოვია პაშინასი.

ახალქალაქის მაზრის სოფლებში 24 სექტემბერს ავად გახდა 1, მორჩა 1, ავად არის 2; ქალაქში ავად არავინ გამხდარა.

ბორჩალოს მაზრის წალკაზე მდებარე სოფლებში 12—18 სექტემბერს ავად გახდა 18, მორჩა 12, გარდ. 10, რჩება 5.

დუშეთის მაზრაში 18 აგვისტოდგან 10 სექტემბრამდე ძალისში ავად გახდა 3, გარდ. 3, მორჩა 9, კვლავ აღარავინ გამხდარა ავად. ნატახტარში გახდა ავად 10, გარდ. 2, მორჩა 8, ავად აღარავინ არის; განოვანში ავად გახდა 1, გარდ. 1; ზახაროში ავად გახდა 10, გარდ. 5, მორჩა 5; ს. კატაანთკარში ავად გახდა 5, გარდ. 2, მორჩა 3.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ტფილისის ხელოსანთა შორის ეფრემ მაისურაძის მიერ შეკრებილი 6 მან. 80 კაპ. აი შემომწირველთა სია:

ეფრემ მაისურაძემ 1 მან., მიხეილ ბოჭორიძემ 1 მ., თედო ნადირაძემ 1 მ., ალექსანდრე მერაბოვმა 50 კ., მიხეილ ტარიელაშვილმა 40 კ., გაბო ოქოევმა 20 კ., ივანე სულხანაშვილმა 30 კ., ალექსანდრე ბაჯიაშვილმა 20 კ., ვ. სიმონოვმა 30 კ., ისაკ ლომიძემ 40 კ., ვანო დოლმაზაშვილმა 20 კ., ნიკოლოოზ არაშიძემ 50 კ., იაგორ გიგაურმა 20 კ., არტემ მურალოვმა 30 კ., დავით კალატოზიშვილმა 30 კ. სულ 6 მ. 80 კ.

კიდევ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 3 მანათი ივანე ზედგინიძისაგან. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 10109 მან. 35 კ. ამითი შესდგა 10119 მან. 15 კ.

მივიღეთ აგრეთვე ი. ზედგინიძისაგან 2 მანათი ქიზიყში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ერთი მანათი შამოუწირავს ი. ზედგინიძეს, ხოლო მეორე—იაკობ ზედგინიძეს.

*** შაბათს, 27 სექტემბერს, ღამის 12 საათზედ, რკინის გზის ხოლერიანთათვის გამართულ ფარდულში ვილაც ავაზაკებმა ყელი გამოსჭრეს მძინარე დარაჯს, ათანასე ავტომენკოს. ეს ამბავი პირველად გაიგო მეორე ოთახში მძინარე ფერშალმა, გამოვარდა გარედ და ჟანდარმს შეატყობინა, მაგრამ ავაზაკები ვერ შეიპყრეს.

*** იმის გამო, რომ თიონეთში საქონლის ჭირი გაჩნდა, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით გაგზავნილ იქმნენ ერთი ბეითალი მეშჩერსკი და თიონეთს ფერშალი.

*** ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას, როგორც გაზ. „Нов. Обоз.“-ს სწერენ: ერთი უბედურობა მომხდარა. ერთს ახალგაზდა ყმაწვილს კაცს მოუწადინებია ცოლის შერთვა, საცოლეც არჩეული ჰყოლია და სიტყვაც მიცემული. მაგრამ ქალს უარი უთქვამს ამ კაცის ცოლობაზედ და სხვა საქმრო აურჩევია უფრო შეძლებული კაცი. გაჯავრებული პირველი საქმრო ქალს სახლში შევვარდნაა და ხანჯლით მოუკლავს ქალის დედ-მამა და ქალიც მძიმედ დაუჭრია.

*** ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში ამ წელს ახლად მიიღეს 119 ქალი. ამათგან უნცროსს მოსამზადებელ კლასში მიიღეს 33, უფროსს მოსამზადებელს კლასში—21, პირველ კლასში—18, მეორეში—3, მესამეში—6, მეოთხე კლასში—7, მეხუთეში—4, მეექვსეში—2, მეშვიდეში 2 და მერვეში 23 ქალი. ამ გიმნაზიაში ამ ჟამად 736 მოწაფე ქალი სწავლობს, მათ შორის მერვე პედაგოგიურ კლასში 59 ქალი.

ამავე გიმნაზიასთან ამ დღეებში გაიმართა საავადმყოფო. საავადმყოფო გამართულია ერთს ცალკე ოთახში და დანიშნულია იმ მოწაფე ქალებთათვის, თუ ვინმე რომელნიც უცბად გიმნაზიაში ავად გახდება.

*** შაბათს, საღამოზედ, ბაქოდგან საფოსტო და სახალხო მატარებელი № 4 არ მოსულა, რადგანაც ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ „ალიატის“ ახლო რამდენიმე ვერსის მანძილზედ ნიაღვარს რკინის გზის ლიანდაგი წაუხდენია. ეს მატარებელი ტფილისში კვირას დილის 4 საათზედ მოვიდა.

*** კვირას, ამ თთვის 27, კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა გრაფმა ი. დ—ძე ტატიშჩევმა დააჯილდოვა გამოფენაზედ მოყვანილ ერთის წლის კვიცების პატრონები, რომელთაც კარგად მოუვლიათ ცხენებისთვის. ერთის წლის კვიცები გამოფენაზედ სულ ექვსია მოყვანილი, რომელთაგანაც ოთხის პატრონები დააჯილდოვეს.

*** კვირას, 27 სექტემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა პირველი წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელო“ და ვ. გუნიას ვოდევილი „ხოლერობა“. წარმოდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი კარგა ბლომად დაესწრო. წარმო-

## ფელეტონი

### ძვირფასი საჩუქარი

(ხორვატული ზღაპარი)

ძლიერის მტრის ხელით აღგზნებულმა ცეცხლმა მთლად გაანადგურა პატარა, ღარიბი სოფელი; მცხოვრებნი უპატრონო ცხვრის ფარასავით გაიბნენ აქეთ-იქით, გონ-დაბნეულნი გულ-დაწყვეტილნი გაშორდნენ საბრალონი თავის სამშობლო ქვეყანას და იმალებოდნენ უდაბურ ტყეებში, რომ იქაც არ მიეგნო შეუბრალებელს მტერს, გაველურებულ ოსმალს, რომელმაც არ იცოდა არც შებრალება და არც შეწყნარება.

განთიადისას უეცრად თავს დასხმულ მტრებს გმირულად შესწირეს სიცოცხლე ამ სოფლის ვაჟკაცებმა თავის თავისუფლებასა და თავის მამულ-დედულის დასაცველად.

დაობლდნენ და დაეწვათ სამშობლო კუნჭული. უსავანოდ დარჩნენ ბავშვები, მოხუცებულნი და ქვითინით გულ-ამოვარდნილნი დედაკაცნი. დედაკაცებში არა ქვითინებდა მხოლოდ მილიცა, ქვრივი ყმაწვილის გმირის მარაკოსი, რომელმაც დღეს დილას სამშობლოს დაცვაში განუტევა სული.

გულის წყრომამ შეჰმუხნა წვრილი, შავი წარბები ხორვატელის ქალისა; სასტიკმა ცეცხლმა აღგზნო მისი შავი თვალები და დიდმა მწუხარებამ შეჰკრა მისი მარჯნის ფერი ბაგენი.

არ სტიროდა მილიცა, არა წუწუნებდა, არ იწყევლებოდა. მილიცა ფერ-მკრთალი, მაგრამ განრისხებული, დინჯად გამოვიდა თავის აოხრებულ სოფლიდგან. გულზედ მაგრა ჰყავდა მიკრული თავის ერთის წლის პირმშო, იანკო. მილიცამ გაბედვით მიაშურა ხშირს ტყეს, რომელიც იმის აოხრებულ სოფელს ნახევარ საათის მავალ მანძილზედ ჰქონდა.

მხოლოდ ერთხელ შესდგა მელიცა გზაში, მწუხარებით გადაჰხედა გადამწვარ სამშობლოს და ამ გადახედვაში იმდენი ნაღველი და სასოწარკვეთილება გამოიხატა, რომ კაცი იფიქრებდა, ეს ეს არის ეს დედაკაცი იმ ცეცხლის უფსკრულში გადავარდება და იქ იპოვის საუკუნო მოსვენებასაო, მაგრამ მილიცას თვალი უცებ შეჩერდა ოქროს ქოჩრიან ყრმაზედ, რომელიც იმის მკერდს მიჰკროდა და მშობლის პირი-სახეზედ ღიმილმა გადურბინა, სასოწარკვეთილებით სავსე თვალები მილიცასი მოლბა და წყნარის, კეთილის სითბოთი აივსო. მილიცამ ამას შემდეგ უფრო მაგრა მიიკრა მკერდზედ თავისი იანკო, აუჩქარა სიარულს და ერთხელაც აღარ მიუხედნია აოხრებულ სოფლისაკენ.

— არა, სიკვდილი არ შეიძლება! გადაწყვეტით წარმოსთქვა იმან. არა, მე უნდა აღვზარდო პატარა იანკო, უნდა ვასწავლო შურის ძიება მამის მკვლელებისა და ჩემის სამშობლოს ამაოხრებლებისა! არა, უნდა ვიცოცხლო, უნდა ვიცოცხლო!

საღამო ხანი იყო, როდესაც მილიცა შევიდა შუაგულ ტყეში; არც ეშინოდა და არც დაღალვას ჰგრძნობდა; მილიცა მხოლოდ იმ ფიქრში იყო, რომ გადაერჩინა თავისი სიხარული, თავის ცხოვრების იმედი, თავისი მშვენიერი იანკო, მიემალა შორს, შორს სადმე, სადაც ძლიერი მტრის ხელი ვერ მიაგნებდა იმის ბინას.

ჩამავალის მზის სხივები ხის წვერებს-ღა მისდგომოდა და ოქროსავით აბჭყვრიალებდა ნიავისაგან მოძრავ ფოთლებს. წმინდა, ალმასისავით მოკამკამე ცვარი მარგალიტივით თრთოდა ბუჩქნარებზედ; ძირს გამხმარს ფოთლებს ფეხებ-ქვეშ რბილად გაუდიოდა ჩამი-ჩუმი. მხოლოდ შორიდამ მოისმოდა რაღაც საიდუმლოებით სავსე ხმა ტყის მოძრაობისა, ეს ხმა სმენას უტკბობდა და აღელვებულ გულს უშოშმინებდა საწყალს მილიცას.

ალერსით დაუხვდა საყვარელი ტყე გაოხრებულ ქვრივს ვაჟკაც მაროკოსას, რომელიც გმირულად მოკვდა თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვისათვის.

მოწიწებით ჩამოსდგნენ ყმაწვილ ხორვატელ ასულის წინაშე უზარ-მაზარი მუხები და ნაზად ჩასჩურჩულებდნენ თავისის მწვანე ფოთლების შრიალით: „ჩვენთან ნუღარაფრისა გეშინიან: ჩვენ დავიფარავთ ქვრივს და ობოლს უშიშარის მაროკოსას: აქ მტერი ვერ მოაგნებს და ვერც არას დააკლებს მშვენიერ მილიცას“.

როგორც უნცროსი დები, როგორც მოსიყვარულე მეგობრები გარს შემოერტყნენ მილიცას ყმაწვილი, ნორჩი ნაძვები, თავ-ხუჭუჭიანი ცაცხვნი და თავის ფოთლების წყნარის ფრიალით უშვიდებდნენ აღელვებულ გულს და შავს ფიქრებს.

უსაზღვრო სევდა, გულის მკვლელი მწუხარება, საყვარელ ტყის ტკბილის ალერსით მილიცას შეეცვალა წყნარ მწუხარებათ. მიდიოდა წინ და ხანდისხან მადლობით შესცქეროდა სამშობლო ტყის ახოვან ხეებს და მაგრად იკრავდა გულში ყმაწვილის ოქრო-ქოჩრიან თავს და არა ჰგრძნობდ დაქანცულობას.

უცებ ტყის სივრციდამ მოისმა ტკბილი, ალერსიანი ხმა: „აქ მოდი, მშვენიერო! აქ მოდი, შენც და შენ შვილსაც დასვენება გეჭირვებათ, მოდი ჩემთან ჩემ სამფლობელოში!“

გაოცებულ მილიცას წინ გამოჩნდა ჰაეროვანი ქმნილება თეთრის ტანთსაცმელით. მწვანე ფოთლებ შუა ოქ-

დგენამ ჩინებულად ჩაიარა. არტისტები მწყობრადა თამაშობდნენ. ეტყობოდათ, რომ პირველ წარმოდგენისთვის შრომა არ დაეშურნათ. ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელო“ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ავტორი რამდენჯერმე გამოიწვიეს და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ვ. გუნიას ვოდევილმა „ხოლერობამ“ ხალხი ძლიერ აცინა.

*** კვირას, ამ თთვის 27, ტფილისში გაიმართა დოღი. დოღს დაესწრნენ: კავკასიის მთავა -მამრთებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი, ტფილისის სადოლო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი გენერალ-ლეიტენანტი ტუტოლმინი, ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე და მრავალნი სხვანი.

პირველ დოღში 15 ყაზახის ცხენები გაუშვეს, რომელთაგანაც ყაზახ კალმიკის ცხენი მოვიდა პირველად. ორის ვერსის მანძილი 3 წამსა და $5^1/_2$ წუთში გაირბინა. ამ ცხენს შემდეგ მოვიდნენ ყაზახის ცხენები: რუბანოვისა, ნიკულინისა, კადალცასი, ანნენკოვისა, მალტიზოვისა, აპაშნიანკისა, ასტრაუხოვისა, პრიმენკოსი და ბელკინისა. დანარჩენი ხუთი ყაზახის ცხენები უკან დარჩნენ, ამ ათ ყაზახს გ ნერალ-ლეიტენანტმა გრაფმა ი. დ—ძე ტატიშჩევმა საათები დაურიგა.

მეორე დოღში პირველად მოირბინა თავ. ტუგანოვის ცხენმა „ელბრუს მეორემ“, რომელმაც სამი ვერსის მანძილი გაიარა 3 წამსა და 59 წუთში. სამის წამის შემდეგ მოვიდა თავ ს. გ—ძე წერეთლის ცხენი „კაი-გოგო“ დანარჩენი ცხენები უკან ჩამორჩნენ. „ელბრუსის“ პატრონმა ვერცხლის საჩაიე სერვიზი მიიღო (ღირებული 300 მან.) და „კაი-გოგოს“ პატრონმაკი—ათი თუმანი.

*** ტფილისის მაზრის სოფელ ხაშმს ამ ცოტა ხანში 27 ბავშვი გახდა ავად ყივანა-ხველით. ამათში 15 მორჩა, 2 გარდაიცვალა, დანარჩენები ავად არიან.

*** ს. ქარელი (გორის მაზრა): ქურდ-ბაცაცებმა ჩვენშიაც თავი იჩინეს. ამ ერთის კვირის განმავლობაში ორი ცხენი მოიპარეს, დ. დ. ციციშვილისა და ლუკიანოვისა. ციციშვილის ცხენი დღესაც დაკარგულია; ლუკიანოვმა-კი ერთის ოსის შემწეობით იპოვნა, ხოლო საპოვნელა ერთი თუმანი გადაახდევინა მპოვნელმა.

*** 27 ამ თთვისას, საღამოს 5 საათზედ, პატარა ორბელიანის ქუჩაზედ მკურნალის ბეგთაბეგოვის მოსამსახურე სოფ. ქვიშის მცხოვრებელი, სასონ ცხვედიანი, 15 წლისა, თავის გაუფრთხილებლობით სახლის მეორე სართულიდგან გადმოვარდა და ისე მძიმედ დაშავდა, რომ საეჭვოა მისი მორჩენა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გურია.** წრევანდელი ზაფხული რომ ხოლერის ზაფხული იყო, მგონია, ყველა დამეთანხმება. ხოლერამ ყველაფერი დაგვავიწყა, გარდა მის ბრწყინვალებისა; მთელი ზაფხული სულ მის საწინააღმდეგოდ გვამოქმედა, ძილში და სიფხიზლეში სულ მის სტუმრობაზე და დახვედრაზე გვაფიქრა; ერთის სიტყვით ყველა ჩვენი ინტერესები უკან ჩამოაყენა და წინ მამლაყინწასავებ თვითონ წამოიჭიმა: აბა უნდა გამიცნოთ, თუ ვინა ვარ მეო,—დაგვიყვირა შორიდგან. მართლაც რომ გაგვაგებინა ამ ვაჟბატონმა (იქნება-ქალბატონმაც! ეშმაკმა იცოდეს იმისი სქესი!) თავისი ვინაობა. დიაღ, გაგვაგებინა და ჩვენც კარგად შევიგენით, ისე კარგად, რომ მეტი ცოდნა არც-კია საჭირო ჩვენთვის. ამიტომ, რადგან მისი ბრწყინვალება ჩვენ კარგად შევისწავლეთ, მისი ჩვენთან ყოფნა ჩვენთვის სრულიად უსარგებლოა, ზიანის მეტი სარგებლობა არაფერია. ეს ერთი. მეორე—ეგ ხოლერაა, თუ რაღაც ჯანაბა, ხომ სტუმრად მობრძანდა ამ ჩვენს საქართველოში? ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ისე პატივი ვეცით,—ეს ქართველური სტუმართ-მოყვარეობის ბრალია. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ყოველთვინ გათქმულნი ვყოფილვართ სტუმართ-მოყვარეობის, მაგრამ მაინც ასე დიდი ხნით სტუმრობა ვერაფერი მოსაწონია.

დილას ოქრო ხარ, სტუმარო.
საღამოს ვერცხლად იქცევი,
თუ ხანი დაგიგვიანდა,—
სპილენძად გადაიქცევიო,

იტყვიან ჩვენში. ამ ბატონმა ხოლერამ ისე გაგვიგრძელა თავისი სტუმრობის ვადა, რომ, არა თუ სპილენძად, შავ-ქვად და ნაცარ-ცხელადაც გადაგვექცა. ამიტომ ზრდილობა მოითხოვს, სხვა რომ არა იყოს რა, მოგვშორდეს თავიდგან და ისევ თავისს სამშობლოში წაბრძანდეს...

ამ ორ მოსაზრებათა ძალით, ხოლერა უეჭველად უნდა მოგვშორდეს ეხლავ. ამაში, მე, მგონია, ეჭვი არ არის. ესაა მიზეზი, რომ გასულს ზაფხულს ხოლერის ზაფხული ვუწოდე და შემოდგომაზე-კი არა ვთქვი-რა. შემოდგომა, იმედია, ჩვეულებრივად, ან ჩვეულებრივზე უკეთ ჩაივლის, მაგრამ ჩვენ-კი, ჩვეულებრივადაც რომ გაივლიდეს, იმასაც დიდის სიამოვნებით დავჯერდებით.

ჰო, იმას მოგახსენებდით, ხოლერის ვინაობა გავიგეთ და შევისწავლეთ მეთქი. ვინ ყოფილა მართლა ეს ჩვენი წრევანდელი სტუმარი? იმდენი ვერაფერი... ვსწუხვარ და მეშინია კიდეც მის ბრწყინვალებისა, რადგან ეხლავ ანდერძი უნდა ავუგო... ვინ ყოფილა და—ძალიან ძლიერი ვინმე, მაგრამ მისი არსებობა მეცხრამეტე საუკუნესათვის სწორედ სირცხვილია. ეს ჩვენი საუკუნე ჰლაღადებს ძმობას, ერთმანერთის შებრალებას და ჭირში ერთი-მეორესთვის ხელის გაწვდას დი დახმარებას. ეგ-კი, ეგ ხოლერა, ასეთის პრინციპის მიმდევარი არ ყოფილა, საუკუნეს ჩამორჩომია... და, როგორც საუკუნეს უკან ჩამორჩომილი, ამ ჩვენის დროის კაცთ-მოყვარეობის აზრებს არ შეესაბამება. ამიტომ უნდა აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა, ან არა და იმ ქვეყნებში, საცა ეგ კაცთ-მოყვარეობის აზრები ტრიალებს და გზას იკვლევს, იქ ვერ უნდა გაჰბედოს შესვლა.

ეს ჩემი აზრი ბ-ნ ხოლერას შეიძლება ვერაფრად ეპიტნაოს და ესიამოვნოს, მაგრამ რა ვქნა,—აბა იფიქრეთ,— ჩვენც ცოდონი ვართ. რამდენი ფული დაჯდა მისი დახვედრა, რამდენი სული ადამიანი გამოესალმა ამ წუთი-სოფელს მის მობრძანების წყალობით!.. თუ ამ ჩვენი საქართველოს გაცნობა ჰსურდა, ეს საწადელიც ხომ შეისრულა: საქართველოს ბევრი ალაგი ნახა და გაიცნო. მართალია, საქართველო მთლად ვერ მოიარა, მაგალითად, სრულიად დაავიწყდა ჩვენი გურია,—და ნურც ინებოს ღმერთმა, რომ გახსენებოდეს როდისმე,—მაგრამ მისი ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მის მიერ ნახული ალაგებიც საკმარისია: ბაქო, ტფილისი, ქართლი, კახეთი, ქუთაისი, ფოთი და ალაგ-ალაგ იმერეთიც. ამ ალაგების მკვიდრნი მისმა სტუმრობამ ხომ სულ დაიპყრო და დაატუსაღა, ყოველგვარი გასართობი და დროს გატარება გადაავიწყა. სამაგიეროდ ჩვენ, გურულები, ასეთ ყოფაში არ ვყოფილვართ და თავს ნება მივეცით, ცოტა გავრთობილიყავით და გაგვეცინა. გამოგვიჩნდნენ ისეთი მადლიანი კაცები, რომლებმაც ასეგასართობი მოგვიხერხეს და ამ დარდით და ვარმით მოცულს გულს ცოტა დარდები გადაჰყარეს. მე მოგახსენებთ ქართულს წარმოდგენების შესახებ. აგვისტოს თთვეში უცებ შესდგა წარმომადგენელთა დასი და საქველ-მოქმედო აზრით გურიის სხვადა-სხვა სოფლებში, ს. ნიგოითში, ლანჩხუთში, აკეთში და ჩოხატაურში გამართა წარმოდგენები. წარმოდგენები ყველგან სასოფლო სკოლების შენობაში იმართებოდა, თუმცა ზოგან, მაგალითად ლანჩხუთში, ასეთთი შენობის შოვნას ბევრი შრომა და წვალება დასჭირდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ლანჩხუთის სკოლის მზრუნველებმა შენობის თხოვებაზე უარი განაცხადეს; საქმემ დირექტორამდინაც-კი მიაღწია; იმან ნება დართო,—ათხოვეთო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მზრუნველები მაინც არ დაეთანხმდნენ.

ღმერთმა უშველოს, თუ არ ადგილობრივი ბოქაული, სკოლაში შესვლა გაჭირდებოდა. ამ გარემოებას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ღირსია ყურადღებისა, და აი რათა: ივნისის თთვეში იმავე სკოლის დარბაზში „გამოთხოვების სადილი“ გახლდათ გამართული დ, „რეჩები“ იყო შიგ გაცხარებული. ღვინის სმამ და ნუნუათი თავის იფორიაქებამ იქამდინ მიაღწია, რომ კინაღამ მთელი შენობა არ დაინგრა და იმდენი ხალხი არ დაილეწა. და აი ესეთი სადილი კი შეეფერებოდა სკოლას, თუ სკოლის შენობას, და წარმოდგენა-კი, რომელიც ერთ ღარიბ ახალგაზდა ყმაწვილს ორ გროშ შემწეობას აძლევდა, ასეთი წარმოდგენა სკოლას სახელს წაუბილწავდა და ჩირქს მოსცხებდა!..

საზოგადო წარმოდგენებმა ყველგან კარგად ჩაიარა და ხალხიც ყველგან ნასიამოვნევი დარჩა, თუმცა ლანჩხუთელ ვაჭრებზე ამის თქმა-კი არ შემიძლია, რადგანაც წარმოდგენაზე იმათგანი ორი-სამის მეტი არა ყოფილა. სასიამოვნოდ დაგრჩებოდათ, რომ უბრალო სოფლის მუშა გლეხს არ დაეშურებინა უკანასკნელი აბაზი და წარმოდგენაზე თვალგაციცებით ისმენდა მოთამაშეთა ლაპარაკს, და ვაჭრები-კი, რომელთაც ბევრად მეტი თავისუფალი დროცა აქვთ და შეძლებაც, ისხდნენ თავიანთ დუქნებში და დღიურ მოგებას ანგარიშობდნენ...

არდგენდნენ „ბაიყუშს“ და აკაკის „ბუტიაობას“, კითხულობდნენ აგრეთვე სცენებსა და ლექსებს. მოთამაშეთა შორის ჩინებულად ასრულებდა რევაზ თავქარიანის როლს ბ-ნი იას. ნიკოლაშვილი და გასპარასას — დ. კ—შვილი. ამ წარმოდგენების შემოსავალიდგან ოთხ-თუმან ნახევარი გადაიდო სასარგებლოდ ერთის ახალგაზდა ყმაწვილისა, რომელიც, როგორც „ივერია“-ში სწერდნენ, ყოველ მხრივ მზად არის უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად, მაგრამ ნივთიერი სიღარიბე ხელს უშლის. სხვა კიდევ ოთხ თუმან ნახევრამდის გადაიდო აკეთის სახალხო ბიბლიოთეკისათვის და დანარჩენი წვლილი— ერთის ხელმოკლე შეგირდისთვის, რომელიც ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს. იმავე დასმა წარმოდგენა გამართა ქ. ოზურგეთში ისევ საქველ-მოქმედო აზრით. სწორედ პატივისცემისა და მადლობის ღირსნი არიან ეს ახალგაზდები, რომლებიც არ ერიდებიან შრომას, გარჯას და ასეთ საკეთილო საქმისთვის ილვწვიან. ღმერთმა ჰქმნას,

---

როსავით გამოსჭუოდა ქერა თმიანი, ზურმუხტის თვალებით შემკული პატარა თავი. პირის-ფერ ტუჩებზედ ტკბილი ღიმილი უქროდა.

მშვენიერი თეთრი ხელი წყნარად შეახო, მზეზედ გაშავებულ ხორვატელის ქალის ხელს და მიიზიდა თავისკენ.

გაოცებული, აღტაცებული მილიცა სიამოვნებით მისდევდა მშვენიერს უცნობს. ვილამ*) მალე მიიყვანა ქალი დიდ მინდორზედ, რომლის შუა გულზედ ამართული იყო მშვენიერი ალისფერი კარავი. მილიცა მიიყვანა ვილამ კარავთან და ტკბილად უთხრა:

— მანამ დაისვენებდე, ნახე და აირჩიე! მე მსურს რითიმე ვანუგეშო ქვრივი სამშობლოსთვის თავ-განწირულისა; მსურს რითიმე დავასაჩუქრო უდროვოდ დაობლებული ყრმა გმირთა გმირისა. შენ იცი, რომ კაცის ცხოვრება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი გული უცემს მკერდში? აი აქ მრავალ გვარი გულია, გასინჯე, დააკვირდი ახლოს და მე, მეფე ვილა, ძრიელი მფლობელი ამ თვალ გადაუწვდენელ ტყისა, უბოძებ იმ გულს, რომელსაც-კი ამოურჩევს შენი მშობლური გრძნობა და სიყვარული.

მილიცა შევიდა ჭია-ფერ ოქრომკედით მოქარგულ კარავში და გულზედ მიკრულის ბავშვით გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. იმის თვალწინ ბრჭყვინავდა ოქროსი და ვერცხლის ჩამოსხმული გულები. სიცივემ აიტანა და სულ გააჟრჟოლა ეს ტლანქი და მძიმე ცივად მოელვარე გულები რომ დაინახა. ალერსით გადაჰხედა მძინარე ყრმას და გადასწყვიტა გულში: ბავშვის პატარა სუსტი მკერდი ვერ შეუძლებს ამისთანა მძიმე გულის ცემას, თითონ ბჭყვრიალი ოქრო-ვერცხლისა შესცვლის ყმაწვილის წმინდა, უმანკო, გულ-უბრყვილო ცისფერ თვალების ტკბილ სხივებს, იმ თვალების სხივებს, რომელიც ისე ძალიან ჰგავს ჩემის ძვირფასის მარკოს თვალებსა და კრძალვით მოერიდა ყმაწვილის დედა ამ ბრჭყვიალა გულებს.

— არ მინდა, არა, ყოვლად შემძლებელო, უძლიერესო მეფევ, შენი ძვირფასი საჩუქარი. მე მგონია, რომ ეგ ბრჭყვიალა ცივი გულები გაჰყინავს ჩემს პატარა იანკოს, ცოცხალ-მკვდრათ და უგრძნობელ ქმნილებად გარდააქცევს! მშვენიერმა მეფე ვილამ გაუღიმა ხორვატელ ქალს და თეთრის ხელით მიუთითა კარის ერთ კუნჭულზე, სადაც იდუმალებით აშუქებდა და ათას ფერად ციმციმებდა წმინდა ბროლის გული. ყოველივე „თინათინებდა“ ამ ბროლის გულზედ; ალისფერი კარვის ფერიც, დედის დაღონებული და ფიქრებით სავსე თვალებიც და ვილას მშვენიერებაც; ყოველივე საგანი განათებული იყო იმაში რაღაც ნაზისა, თბილისა და საოცნებო შუქით მოსილი; ეს შუქი ირხეოდა და ციმციმებდა ყოველ სიოს დაბერვაზედ, ყოველ ამოსუნთქვაზედ, ირხეოდა წყნარისა და ტკბილის რხევით.

ნათელი დაადგა ხორვატელ ყმაწვილ ქალის პირი-სახეს ამ გულის დანახვაზედ: აღტაცებით და სისწრაფით გაიწოდა ხელი და გრძნობით წარმოსთქვა:

— აი გული, რომელიც მინდა რომ ჩემ პატარა იანკოს მკერდში უცემდეს. მიეც ეგ ჩემ პატარას და თაყვანს გცემ, ყოვლად შემძლებელო ბატონო.

ვილა თავისებურად ტკბილად იღიმებოდა. ხმა-ამოუღებლივ ჩამოიღო ის სათუთი, ბროლის გული, ჩუმად მივიდა მძინარე ბავშვთან და ნელა დაადო თბილს მკერდზედ; დიდი, ცის ფერი თვალები აეხილა ბავშვსა და გამოაშუქა მკრთალის ელვარებით.

შეხედა ვილამ ყმაწვილს თავისის ნათელის, ზურმუხტის ფერ-თვალებით, შეეხო პირით იმის ოქროს ფერ კულულებს და უთხრა მის დედას:

— მე ავასრულე შენი თხოვნა, ახლა წადი, დაისვენე და დაასვენე შენი იანკოც. გაუფრთხილდი მაგ ყმაწვილს. შენ მაგას ამოურჩიე გული მგოსნისა და პოეტისა, ის გული, რომელშიაც იხატება მთელი ქვეყნიერება, რომელიც ხმას აძლევს ყოველ ძახილს შეწუხებულისას, თრთის და სწუხს ყველას უბედურებით. გაუფრთხილდი და გახსოვდეს, რომ შენი იანკო ხან უსაზღვრო ბედნიერებით ივსება და ხან უსაზღვრო უბედურებით მოეკვლის გული, მაგრამ არასდროს-კი სხვებს არ დაემსგავსება.

ამას შემდეგ ტყის დედოფალმა გაიბერტყა თავის ელვარე ფრთები და მხოლოდ ეხლა იგრძნო ყმაწვილის დედამ დაღლილობა, დეეშვა რბილ მოლზედ და ტკბილად ჩაეძინა. ეძინა პატარასაც და იმისი ფერ-მკრთალი პირი-სახე განათებული იყო იმ ბროლის გულის შუქით, რომელიც იმის მკერდ-ქვეშ ფართქალებდა. ტყე თავის ტკბილ ნანას ნაზად დაჰმღეროდა ქვრივს და ობოლს გმირის მარკოსას, რომელმაც თავი შესწირა თავისუფლებას და სამშობლოს დაცვას.

გავიდა მრავალი წელი. იანკო გამოჩენილი მგოსანი და სამშობლოს ძლიერი მცველი შეიქმნა. ქნარი მისი ჟღერავს შეუწყვეტლივ, მკერდში ნაზად უცემს ბროლის წმინდა გული; იმ გულში ქრთის მთელი სამყარო; ის გული აძლევს ბანს ყოველს ძახილს მწუხარებისას, ყოველს ტკივილს კაცობრიობისას.

*) ხორვატელები ტყის ღმერთს ასე ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მათ შემდეგშიაც გამოეჩინოთ ასეთი მხნეობა.

სანამ ამ წერილს გავათავებდე, ნება მიბოძეთ, ერთი საყურადღებო საგანიც გამცნოთ გურიის ცხოვრებისა, თუმცა ეს საგანი მარტო ჩვენ, გურულებს, არ შეგვეხება და ეს, რაც მე მსურს მოგახსენოთ, როგორც ახალი ამბავი, უეჭველია, თქვენც გექნებათ გაგონილი და შეტყობილი. ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ გეტყვით. იცით რამე მთავრობის მიერ გამოცემულს „ახალს უქაზზედ?“ არა, განა? და ჩვენ-კი, გურულებმა, ეს დიდი ხანია ვიცით. მაშ, აბა რიღას რედაქცია და მწერლები ბრძანდებით, თუ ახალ ამბებს ვერ გაიგებთ და გაზეთში ვერ „ჩააგდებთ“. კიდევ კარგი, რომ უთქვენოდაც შევიტყეთ, მაგრამ ის-კი არა კარგი, რომ გაზეთს ჩვენ ვაძლევთ ახალ ამბებს და არა იგი ჩვენა... აი, ბატონებო, შინაარსი „ახალი უქაზისა“. წელს თურმე მთავრობას გამოუცია ისეთი „ზაკონკანონი“, რომლის ძალითაც სახაზინო გლეხებს არა აქვთ უფლება, რომ ვისმესაგან ფული ისესხონ, საბატონო გლეხებს-კი, თუმცა აქვთ ამისი ნება, მაგრამ სამაგიეროდ „ნაკაზანიად“ სესხის აღების დროს ერთ თუმან ფულში მევალეს ორის თუმნის ვექსილი უნდა მისცენ, ორ თუმანში—ოთხი თუმნისა და ასე... იმასაც ამბობენ ჩვენში, რომ ეს „ზაკონი“ ქრთამითაა გამოცემულიო, რომ ვითომ ფულიან კაცებს ქრთამი დაუხარჯავთ და თავისთვის სასარგებლო „უქაზი“ გამოუცემინებიათო... მართალია თუ არა ეს, მაგისი რა მოგახსენოთ, ქრთამის დახარჯვაში მე არ ვრევივარ, მაგრამ „უქაზის“ შესახებ ხმა რომ ზოგან ნამდვილ ჭეშმარიტებადაა აღიარებული, ეს-კი ეჭვს გარეშეა.

— შენი ჭირიმე, მალხაზ, ეხვეწება გლეხი მედუქნეს, ნუ გამიწევ უღელს, იკმარე თუმანში ათი შაური სარგებლად და, თუ რამე შეძლება მექნება, სხვაფრივ პატივსა გცემ.

— არ შემიძლიან, ჩემო გოგიავ! მე ხომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებას ვერ გადაუხვევ, და მას უბძანებია, გლეხებს ერთი-ორად მიასესხეთ ფულიო... ახალი უქაზი რომაა გამოცემული, არ იცი?

— ვიცი, შენი ჭირიმე, რავა არ ვიცი, მარა მაინც უნდა შემიბრალო, შენი სისხლი და ხორცი ვარ!..

დიაღ, ეს გარემოება ღირსია ყურადღებისა და საჭიროა ჩვენმა ხალხმა გაიგოს ასეთი უსაფუძვლო ხმის სიცრუე და სიყალბე, რომ „ახალი უქაზის“ გამოცემა „სოფლის წურბელათა“ ოცნებას ეკუთვნის და არა მთავრობას.

უგვარო

## გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის შესრულებისა გამო

ამ სექტემბერს შესრულდა ორმოცი წელი მას აქეთ, რაც რუსეთის დიდებულის მწერალის ლ. ნ. ტოლსტოის პირველი თხზულება «Исторія моего дѣтства“ დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენიკის“ 1852 წლის სექტემბრის ნომერში. ამ მოთხრობას ბოლოს ეწერა ორი ასო: ლ. ნ.

იმ დროის კრიტიკამ ღირსეულად დააფასა ეს მოთხრობა. საყურადღებოა, რომ სხვა-და-სხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებმა ერთხმად აქეს ეს მოთხრობა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ იმ დროს ერთსა და იგივე თხზულებას ერთი ჟურნალი ქება-დიდებას შეასხამდა ხოლმე, ხოლო მეორე-კი იმავე თხზულებას მიწასთან ასწორებდა და უარჰყოფდა. ეს ასე იყო იმიტომ, რომ რუსეთის მაშინდელი ჟურნალ გაზეთები ერთმანეთს ებრძოდნენ. ერთი ჟურნალი რომ რომელსამე თხზულებას მოიწონებდა, მეორე მხოლოდ იმიტომ უარჰყოფდა იმავე თხზულებას, რომ პირველმა მოიწონაო.

ასე იქცეოდნენ ორმოც-და-ათიან წლების ჟურნალ-გაზეთები ძ ამიტომ, ვინ იცის, თუ რამდენმა ნიჭიერმა ახალგაზდამ ხელიდგან გააგდო კალამი და დაანება თავი წერას.

ლ. ნ. ტოლსტოის-კი სულ სხვაგვარი ბედი ეწია. ტოლსტოი კავკასიაში მსახურობდა, აქედგან გაუგზავნა დასაბეჭდად პირველი თავისი თხზულება ჟურნალ „Современникъ-ს“. ვინ იცის, როგორ უძგერდა გული ახალგაზდა მწერალს, ვიდრე ამ თხზულების შესახებ მწერლობა რასმეს იტყოდა. იმის ბედად ორმა სხვა-და-სხვა მიმართულების ჟურნალმა »Отеч. Зап.“ და „Москвитянинъ“-მა თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ „Исторія моего дѣтства» —შესანიშნავი და იშვიათი თხზულებააო და ამ თხზულების დამწერისაგან ბევრს, კიდევ უკეთესს უნდა მოველოდოთო. საყურადღებოა ჟურნალ „От. Зап.“-ის აზრი ამ თხზულების შესახებ; აი სხვათა შორის რასა სწერდა ეს ჟურნალი:

„ბევრი ხანია, უფრო გრძნობით და უფრო მაღალ-კეთილშობილური იდეალითა და აზრით გამსჭვალული თხზულება არ წაგვიკითხავს... საგანი მოთხრობისა ძლიერ მარტივია. აწერილია ის ნეტარი დრო, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ისე ტკბილად და სიამოვნებით იგონებს. ეს დრო ყმაწვილობაა, თავის ნათელ-მზიან მხიარულებით და მშვიდისა და წყნარის მწუხარებით... ჩვენ გვინდოდა გაგვეცნო მკითხველთათვის ეს თხზულება და ამოგვეწერა, ჩვეულებრივ, უკეთესი ალაგები, — მარგალიტები ამ თხზულებისა, მაგრამ ამ თხზულების ერთი ადგილი მეორეს სჯობიან და თავიდგან ბოლომდინ მართლა რომ ჩინებულია. თუ ეს პირველი ნაწარმოებია ავტორისა, არ შეგვიძლიან არ მიულოცოთ რუსეთის მწერლობას ახალის, შესანიშნავის ტალანტის გამოჩენა.

Москвитянинъ-შიაც. აი რა შენიშვნაა ამ თხზულების შესახებ: „ძლიერ მოგვეწონა თხზულება ლ. ნ—ისა. ყმაწვილობის დროის ცოცხალი სურათებია აქ აწერილი. მოთხრობა დიდის გრძნობით არის დაწერილი“.

ამას შემდეგ ტოლსტოიმ „სოვრემენნიკის“ 1854 წლის, ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა მეორე თხზულება „Отрочество“.. „სოვრემენნიკმა“ ასეთი შენიშვნა უძღვნა.

„სოვრემენიკის“ 1852 წლის მე 9 №-ში დაბეჭდილია მოთხრობა „Дѣтство“, რომელიც, ეჭვი არ არის, ეხსომებათ მკითხველთ. ეს მოთხრობა დასაწყისი იყო რომანისა, რომელსაც სახელად ეწოდება „Четыре эпохи развитія“; ახლა ჩვენ ვბეჭდავთ მეორე ნაწილს ამ რომანისას, რომელიც, როგორც პირველი, ცალკე თავის თავადაც არ არის ინტერესს მოკლებული.

ამ რომანის შესახებ იმავე ჟურნალის 1855 წლის იანვრის ნომერში შემდეგი შენიშვნა ეწერა ანენკოვისა: „ლ. ნ. ტოლსტოის თხზულება ბევრს რასმე იკვლევს... ყოველი სიტყვა რომანისა აზრიანია... ამ თხზულებით ავტორი გარწმუნებთ, რომ ზოგჯერ ხელის მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა და მოუფიქრებელი სიტყვაცკი გვიხატავს ადამიანის სახესა და გულს, რწმენას და ხასიათს...

როცა ტოლსტოის პირველი ნაწერები დაიბეჭდა „სოვრემენიკში“, მაშინ რუსეთის მეორე გამოჩენილი მწერალი დოსტოევსკი ციმბირს იყო და იქ წაიკითხა ტოლსტოის „Дѣтство“ და „Отрочество“. ეს ორი მოთხრობა ძლიერ მოეწონა და სთხოვა წერილით ერთს მეგობარს, მაცნობე, ვინ არის ამ რომანის დამწერიო. მართლაც, ეს რომანი, უკეთესი ნაწარმოებთაგანია რუსეთის მწერლობისა ძ ეჭვი არ არის, რუსეთის საზოგადოება დიდის ამბით გადაიხდის გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცის წლის შესრულებას.

## უცხოეთი

**ირლანდია.** ინგლისში სამინისტრო შეიცვალა, მართვა-გამგეობა ქვეყნისა ამ ზაფხულის საერო არჩევანებმა არისტოკრატებს ჩამოართვა და ლიბერალებს ჩააბარა. ამ დასის მეთაურად ისევ მხცოვანი გლადსტონია, რომლის სურვილი ბედ-შავ ირლანდიის გაბედნიერებაა და საკუთარის პარლამენტის—მართვა-გამგეობის მინიჭება.

საკუთარი პარლამენტის უქონლობამ და ინგლისის ლორდების სამინისტროს გულ-ცივად მოპყრობამ ირლანდიას გაუმწვავა შინაური საქმე. ირლანდია რამდენსამე თავადების საკუთრებას შეადგენს. თავადები ნაჭერ-ნაჭრობით იჯარით აძლევენ მიწის-მომქმედთ ანუ ფერმერებს და ისეთ პირობებს უდებენ, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი ასრულება. მაგალითად, მიწის ღალას მიწად-მფლობელი თავადები ან ლენდ-ლორდები იმდენს იჯარას ახდევინებენ ფერმერებს, რომ ამ უკანასკნელთ ყოველთვის ვალი ედებათ. ღალას დანიშვნა-კი დენდლორდების სრულ ნება-ყოფლობაზეა. ესენიც თავისკენ სთლიან ეჩოსავით და სულაც არა ფიქრობენ, მისცემს თუ არა იმდენს მოსავალს მიწა, რომ მიწის მუშა თავის ხარჯსაც გაუძღვეს, მომეტებული ღალაც მისცეს მიწის მფლობელს და თავიც ირჩინოს. ღალას მიუცემლობისა გამო ლენდ-ლორდები აძევებენ შემუშავებულადგილ-მამულებიდგან ფერმერებს რომელნიც მთელი ოჯახით უბინაო და ულუკმა-პურო რჩებიან. ამათ რიცხვმა ამ ბოლო დროს 10,000-მდე მიაღწია.

ასეთი წეს-წყობილება და ასეთი ყოფა ირლანდიის ფერმერებისა— თავი და თავი იარაა ირლანდიის სხვა იარათა შორის. ამ იარას ირლანდიისას დიდი ყურადღება მიაქციეს 1880 წლის აქეთ ირლანდიის მამულის შვილებმა და ინგლისის მთავარ სახელმწიფო კაცმა—გლადსტონმა. აქედგან დაიბადა „ჰომრული“ —თეორიული პლანი ირლანდიის ბედ-იღბლის განკარგების შესახებ. 1881 წელს ინგლისის კანონმდებლობამ გლადსტონის წინადადებით და მეთაურობით წეს-რიგის შეტანა მოინდომა ირლანდიის ლენდ-ლორდების და ფერმერების საქმეში ამ უკანასკნელთ სასარგებლოდ. მაგრამ ამ კეთილმა მიმართულებამ ბოლო ვერ გაატანა მაშინ. შემდეგ-კი ინგლისის მართვა-გამგეობა ლორდებმა ჩაიგდეს ხელში და უფრო შეაწუხეს ირლანდიელები პოლიციელების ჩაყენებით და ლენდლორდების წაქომაგებით.

ახლა-კი გლადსტონის სამინისტრო თავისი „ჰომრულის“ ასრულებას შესდგომია. საკუთარი პარლამენტი უნდ მიენიჭოს ირლანდიას „ჰომრულისა“ თანახმად. თუ წინააღმდეგი შეიქმნენ ამის ლორდები, რომელნიც ინგლისის ზემო პალატის უმრავლესობას შეადგენენ, მაშინ გლადსტონს და მის მომხრეებს სურთ თვით „ზემო პალატა“ უარჰყონ, როგორც მეტი ბარგი ინგლისის სახელმწიფოს მართვა - გამგეობისა და ამ აზრით ერს მიჰმართონ და ჰკითხონ: საჭიროა თუ არა ლორდთა პალატა აწინდელ მართვა გამგეობაში. ლორდები საქმე საქამდე არ მიიყვანენ და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რო ირლანდიის მამულიშვილებს ჩქარა აუსრულდებათ უგულითადესი სურვილი—საკუთარი პარლამენტის დაწესება ირლანდიის სატახტო ქალაქში.

## სასარგებლო ცნობანი.

დაკბენილი ძაღლის მორჩენა. თუ ძაღლი სხვა ძაღლმა დაჭკლიჯოს ფეხში, ფეხი-კი არ მოურჩეს ლოკვით და იმ ადგილას დარჩეს ჭირკვალი, სიმსივნე და ძაღლმა იკოჭლა, ჭირკვალზედ სხვილის ზუმბულით იოდი წაუსვით.

ბაღლინჯოს გაწყვეტა. გედლები და ავეჯი, სადა ბაღლინჯო გაჩნდეს, დამდუღრეთ შაბიამან ნარევი წყლით.

ცხენების მოვლა. თუ ცხენს კარგი მოვლა არ აკლია, ჭკვებავთ შვრიით, ქატოთი და თივით და მაინც არა სუქდება, იმ ცხენს უეჭველად კბილები გამწვეტებული აქვს და უნდა მოუხერხოს.

სიცხეში ცხენს ხშირად ჩლიქები უსკდება და ამიტომ ჩლიქებზედ გაზელინი უნდა წაუსვას.

თუ ცხენი ტარების დროს უკანა ფეხებს წინა ფეხებს არტყავს, მაშინ უნდა უკანა ფეხებზედ ჩლიქები ცოტათი მოუხერხოს.

ხშირად კვიცებს ორთავ ტუჩებზე და ცხვირზე მეჭეჭები ამოსდით. შემდეგ ეს მეჭეჭები ერთდებიან და ეს გარემოება ცხენს ძლიერ აწვალებს. ამის ასაცილებლად მეჭეჭები უნდა დაედაღოს ლიაპისით, (ჯოჯოხეთის ქვით) და თუ დადაღვამ არა უშველოს-რა, მაშინ-კი მაკრატლით უნდა მოეჭრას.

## დეპეშა

25 სექტემბერი

**პეტერბურგი.** წყლის გზების ინსპექტორის მოადგილე ფლორინოვი დაინიშნა კიევის ოლქის წყლის გზების უფროსის მოადგილედ. ამ ოლქის დნესტრას განყოფილების უფროსი ლოხტინი დანიშნულ იქმნა ყაზანის ოლქის განყოფილების უფროსის მოადგილედ. ყაზანის ოლქის უფროსი ავგუსტოვსკი—მეოთხე ხარისხის ინჟენერად. ტაინი სოვეტნიკი ნიკოლოოზ ნოვოსელსკი დანიშნულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრად.

გუშინ ჩერნიშევსკის სკვერში ლომონოსოვის ძეგლი აკურთხეს.

**პარიჟი.** გუშინ ბიარიცას საქველმოქმედო ბალი გაიმართა რუსების სასარგებლოდ. ბალს დაესწრნენ: რუსეთისა, ისპანიისა და საფრანგეთის კოლონიების წევრნი და ჯარების უფროსნი.

**ათინა.** აქ მობრძანდა დიდი მთავრინა ალექსანდრა პეტრეს ასული.

26 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ რკინის გზათა დეპარტამენტი ამ მოკლე ხანში განიხილავს იმ საქმეს, რომ რკინის გზით პურის გადატანის ფასი შეამცირონ.

**ვეიმარი.** იმპერატორი ვილჰელმი აქ მობრძანდა და სხვათა შორის დაუხვდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, რომელიც ამ ჟამად ვეიმარს იმყოფება. იმპერატორმა დიდს ჰერცოგსა და ჰერცოგინას მშვენიერი სტოლი უფეშქაშა და იმპერატრიცამკი ძვირფასი ვაზა.

**ვენა.** ხვალ აქ დაბრუნდება ავსტრიის იმპერატორი, რათა მოემზადოს გერმანიის იმპერატორის დასახვედრად, რომელსაც სამშაბათს მოელიან.

27 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული გუშინ შტუდგარტს გაემგზავრა.

„Руск. Жиз.“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭო სესიის დაწყებისათანავე განიხილავს ახალს დებულებას პურის მაღაზიების შესახებ.

**რომი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, მიჰმართოს მეფეს და სთხოვოს, პალატა დაითხოვოს, არჩევანები 6 ნოემბერს დაჰნიშნოს, ხელ-მეორედ არჩევანი 13 ნოემბერსა და 20 იმავე თთვისას ახალი პალატა შეადგინოს.

**ვეიმარი.** დიდის ჰერცოგისა და ჰერცოგინას 50 წლის ქორწინების შესრულებისა გამო სასახლის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: გერმანიის იმპერატორი, საქსონიის მეფე, ნიდერლანდის დედოფალი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. ნადიმის დროს იმპერატორმა ვილჰელმმა დალია სადღეგრძელო დიდის ჰერცოგისა და მის მეუღლისა.

პეტერბურგის ბირჟა, 25 სექტ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,93 | 7,96 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 158 1/2 | 159 1/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 101 3/4 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 191 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 191 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | 99,87 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | 99,87 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

**გამოსადეგი ცნობანი**

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. . კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

---

# განცხადებანი

## აბეჯი

სხვა-და-სხვა, ოჯახის ნივთები და ძროხა ისყიდება ტფილისიდგან წასვლის გამო. საბალოსნო სკოლა, მუშტაიდის ახლო, სკოლის მმართველის სახლში. 3—1

---

სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის საბჭო ამით აცხადებს, რომ 8 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობა (განუმეორებლად) 21 დუქნის იჯარით გაცემისა; დუქნები სემინარიის ძველ შენობის პირდაპირა. პირობათა შეტყობა შეიძლება სემინარიის სამზრუნველოს კანცელარიაში, ყოველ დღე, 10—12 საათამდე, კვირა უქმეს გარდა.

---

ძველი სენაკის ბაზრობა (იარმუკა), რომელიც გადადებული იყო ხოლერობის გამო, ახლა, მთავრობის ნება დართვით, დაიწყება 3-ს ოქტომბერს და განიგრძობა, ჩვეულებრივ, დაბა ძველს ძენაკში. 3—1

---

გმოვიდა და დაურიგდა აგენტებს.
ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

**1) „სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“**

დუტუ მეგრელისა;

**2 „დედა-შვილის თაჲ-გადასავალი“**

(აპენინის და ანდის მთები)

ე. დე—ამიჩისისა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე ამხანაგობის შემდეგს აგენტებს:

ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა და წერეთლების წიგნის მაღაზიებს.

ტფილისში წერა-კითხვის და ტფილისის ამხანაგობის მაღაზიებს;

ოზურგეთში თავართქილაძის წიგნის მაღაზიას;

ბათუმში მ. ი. ნიკოლაძის გაზეთების, და წიგნების სააგენტოს;

გორში არ. კალანდაძის სტამბას;

ზესტაფონში თ. ხუსკივაძეს და ი. კაკაბაძეს;

ფოთში ნოდიას წიგნის მაღაზიას;

კავკავში ტ. კახიძეს;

საჩხერეში ყარამან ჩხეიძეს;

ახალ-სენაკში თავართქილაძის მაღაზისა;

ძველ-სენაკში ი. გოგოლაშვილს და ლ. ალლაძეს;

ოჩემჩირეში ი. ეგგელაშვილს;

ხონში ნ. წერეთელს;

ახალციხეში გრ დეკანოზზიშვილს;

თელავში მიხ. ცისკარაშვილს;

სიღნაღში მაჭავარიანის წიგნის მაღაზიას;

ონში ნიკოლოოზ მრევლიშვილს;

სოხუმში ნ. ბერძენოვის ასულს.

ბაქოში გ. ხუტულაიშვილს;

ყარსში მ. მუსელიანს;

ზაქათალაში ტ. რცხილაძეს;

განჯაში დ. ქვლივიძეს;

ბაღდადში ნ. ტყეშელაშვილის ასულს;

ერევანში ს. კასრაძეს;

სამტრედიაში გელეიშვილის წიგნის მაღაზიას;

ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ ი. ხეთერელს. (6—1)

---

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—115)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |

---

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. ვ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბადლოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისგარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ. (50—11)

---

ს.-პეტერბურგის ბანკის ამხანაგობის სააგენტო

## მ. დე-ლუა ფარი და ამხ.

ნევას პროსპექტი, № 44

ი ყ ი დ ე ბ ა მ ო მ გ ე ბ ი ა ნ ი ბ ი ლ ე თ ე ბ ი

I, II და III სესხისა ნაწილ-ნაწილ ფულის გარდახდით თთვეში 5 მან. და მეტისა

სყიდვის დღიდანვე მოგება სრული საკუთრებაა მყიდველისა

რადგან ბანკი მცირე სარგებელს იღებს ბილეთის ფასის გადახდის დიდს ხანს განგრძობისათვის, ამიტომ სყიდვა ბილეთისა ამ ბანკში ბევრად იაფად ჯდება, ვიდრე სხვაგან.

ნამდვილ ცეიფრებიან გამოანგარიშების ბადე-ცხრილები შეიძლება გაისინჯოს სააგენტოში, რომელიც აზღვევებს ბილეთებს და უზრუნველი ჰყოფს გაბათლებისაგან 65 კაპეიკად.

ვტვირთულობთ ფულის სესხად შოვნას სარგებლიან ქაღალდების დაგირავებით. სარგებელს ვიღებთ 5°/₀ და 1/4°/₀ კომისიას.

სააგენტო იმყოფება სოლოლაკში, სტარო-ინსტიტუტის და სადოვაიას ქუჩების კუთხეში, სახლი როტინოვისა. სააგენტო ღიაა დილის 9 საათიდგან საღამოს 6 საათამდე.

ა გ ე ნ ტ ი : სემიონ პავლეს ძე სილბერშტეინი

---



ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти, пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее- ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачествен. ность матеріаловъ.

---

## ტუტაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—38)